

**2021 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
შპს „ენ ვი ჰი ჯორჯია“**

(ს/ნ 406058901)

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- საწარმოს საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
- სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობა				
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	277	8,302	24,433	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	12,341	-	3,924	
მარაგები	211,919	211,919	211,919	
მზა პროდუქცია	211,919	211,919	211,919	
სხვა	-	-	-	
საინვესტიციო ქონება	-	-	-	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	467,177	283,806	195,203	
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-	
თვითღირებულების მოდელით	-	-	-	
გადაფასების მოდელით	-	-	-	
გუდვილი	-	-	-	
სხვა არამატერიალური აქტივები	5,408,103	5,664,995	5,932,950	
ძირითადი საშუალებები	525,484	516,960	553,466	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-	
სულ აქტივები	6,625,301	6,685,982	6,921,895	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	-	-	-	
სავაჭრო ვალდებულებები	1,146,058	1,433,339	904,158	
ანარიცხები	-	-	-	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	2,590	-	
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	
გამომუშავებული შემოსავალი	-	-	-	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	7,066,256	6,160,729	3,883,613	
მიღებული გრანტები	-	-	-	
სხვა ვალდებულებები	7,381,956	7,381,956	7,342,245	

შპს ენ ვი ჰი ჯორჯიას ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის

სულ ვალდებულებები	15,594,270	14,978,614	12,130,016
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(8,968,969)	(8,292,632)	(5,208,121)
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	(8,968,969)	(8,292,632)	(5,208,121)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,625,301	6,685,982	6,921,895
სულ მოკლევადიანი აქტივები	679,096	495,725	195,203
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	1,166,245.00	-
საქონლის გაყიდვიდან	1,166,245.00	-
მომსახურების გაწევიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-	-
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	1,166,245.00	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,090,398.00)	(938,855.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(350,224.00)	(365,459.00)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	(184,342.00)	(125,350.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(692,072.00)	(851,033.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,317,036.00)	(2,280,697.00)
საოპერაციო მოგება	(1,150,791.00)	(2,280,697.00)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	474,454.00	(803,814.00)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(676,337.00)	(3,084,511.00)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(676,337.00)	(3,084,511.00)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(676,337.00)	(3,084,511.00)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(8,292,632.00)	(5,208,121.00)

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(8,968,969.00)	(8,292,632.00)

ფულადი სახსრების მოძრაობა		
	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(8,025.00)	(16,131.00)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(8,025.00)	(16,131.00)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8,302.00	24,433.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	277.00	8,302.00

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: გიორგი სუთიაშვილი

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ენ ვი ჰი ჯორჯია“ (შემდეგში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართი : საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ვაჟისუბნის I მ/რ, კორ. 14, ბ. 33, ხოლო ოფისი მდებარეობს საქართველო, ქ. თბილისის, გაზაფხულის ქუჩა 9 , ბინა 20.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულებში ნავთობის კვლევა ძიება , მოპოვება.

კომპანია დაფუძნდა 02/11/2011-ში . 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ნაუტიკავტ ენერჯი პტი, 199555, 201108080Z /სინგაპური/. რომელიც ფლობს კომპანიის 100% წილს. კომპანიას მართავს დირექტორი გიორგი სუთიაშვილი და ჩეა მენგ ფუი/მალაიზია/.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”).

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“GEL”).

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების ლარში გადაყვანა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება იმ გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც აღნიშნულ თარიღში მოქმედებს. უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება იმ გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედებს.

2021 წლის 31 დეკემბერს, უცხო ვალუტის ნაშთების ლარში გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი=3.0976 და 1 ევრო=3.5040 ლარი.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხას.

ბანკის დასახელება	ვალუტა	ლარი
სს საქართველოს ბანკი	ლარი	GEL 277
სს საქართველოს ბანკი	აშშ დოლარი	GEL 0

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე თანხის გადმორიცხვით. კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნები.

გადახდილი ავანსები

2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები შეადგენდა 12 341 ლარს რაც გულისმობს საქონელის და სხვადასხვა მომსახურების შესაძენად მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს.

მზა პროდუქცია

მზა პროდუქციას წარმოადგენს ნავთობის კვლევა ძიების შედეგად მოპოვებული ნედლი ნავთობი.

სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ისეთ მარაგებს რომელიც საჭიროა ქაბურღილების გამართული მუშაობისთვის და გამოიყენება კვლევა ძიებისთვის.

სხვა არამატერიალური აქტივები

საანგარიშსებო პერიოდში კომპანიას გააჩნია არამატერიალური აქტივები ისეთ როგორიც არის საბუღალტრო პროგრამები და ნავთობის კვლევა-ძიების და მოპოვებისთვის სახელწიფოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა. ამ უკანასკნელის წილი მთლიან არამატერიალურ აქტივებში შეადგენს 99,9%-ს.

-

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებებია დიარღება ისტორიულ დირებულებას გამოკლებული და გროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხორ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარი), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

ამ მუხლებში გაერთიანებული ვალდებულებები შედგება პარტნიორი და მშობელი კომპანიისგან მიღებული თანხებისგან. კომპანიას არ გააჩნია საბანკო დაწესებულებიდან აღებული სასესხო ვალდებულება.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია ღდგ-სა და ყოველგვარი ფასდაკლების გარეშე.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება „დროის პროპორციულობის“ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლობები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან

მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.